განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტომატოლოგიის (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10-11.07.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11.08.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული სტომატოლოგი 0911
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო კორსანტია,** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე ბეშკენაძე,** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ანა ბაცანკალაშვილი,** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია და ხორციელდება 2001 წლიდან. ბოლო აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს (16.09.2011, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, სხდომის ოქმი #3, გადაწყვეტილება #37). ამჟამად პროგრამა გადის რეაკრედიტაციას.

საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში არის 5 წლიანი და მოიცავს სწავლების 10 სემესტრს და 300 კრედიტს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შედგება სავალდებულო საბაზისო, კლინიკური და არჩევითი სასწავლო კურსებისგან.

დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამით უნივერსიტეტში სწავლობს 201 აქტიური სტუდენტი. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 90 აკადემიური (პროფესორი - 20, ასოცირებული პროფესორი - 41, ასისტენტ პროფესორი - 29, ასისტენტი - 1) და 47 მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტიდან გადმოგზავნილი პროგრამის განმახორციელებელი პირების ნუსხა და დოკუმენტაცია იყო სრული, გაპარული იყო უმნიშვნელო შეცდომები, რაც ადგილზევე გასწორდა.

საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების გაცნობიდან ირკვევა, რომ პროგრამის მიზანია სტუდენტისთვის ცოდნის მიცემა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით. უნივერსიტეტს მალე ექნება საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა და ასევე აქვს სხვა სტომატოლოგიური ბაზები, სადაც სტუდენტები მიიღებენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას, როგორც მანეკენებზე და ფანტომებზე მუშაობის, ასევე, ექიმის ასისტირების და ზედამხედველობის ქვეშ პაციენტებზე კონკრეტული მანიპულაციების ჩატარების გზით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 10-11 ივლისს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეგზავნა უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ, გადმოგვეცა ადგილზე, პირადად და ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით. წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა ჩვენთვის საინტერესო პირების გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ინტერვიუს ნაწილი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რომლებიც მომავალში ინგლისურენოვანი პროგრამის განმახორციელებელ პირებად მოიაზრებიან, ჩატარდა ინგლისურ ენაზე, გამოკითხულებმა აჩვენეს ენის სათანადო ცოდნა. ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში ფიზიკური ინტერვიუები წარიმართა დისტანცირებით, უსაფრთხოების ყველანაირი წესების დაცვით, გამოკითხულ პირთა ნაწილი ჩაგვერთო ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით, ხარვეზების გარეშე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის ძირითადი მიზანია სტუდენტს გადასცეს შესაბამისი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, რომელიც საჭიროა შრომით ბაზარზე კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრის მოსამზადებლად. ამ მხრივ, პრაქტიკული კომპონენტების და უნარების გასაუმჯობესებლად აღნიშნულ პროგრამაში შეტანილია ცვლილებები.

თსუ მედიცინის ფაკულტეტის მისია თანხვედრაშია თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მისიასთან.

პროგრამის შემადგენელი თითოეული კომპონენტის შინაარსი და მოცულობა და მისი საბაზისო და კლინიკური კომპონენტების ერთობლიობა, პროგრამის სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, უზრუნველყოფს კომპონენტით დასახული მიზნის მიღწევას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამაზე სწავლა 10 სემესტრისა და 300 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება, მათ შორის ელექტიური საგნების მოცულობა 11 კრედიტია.

უნივერსიტეტის ფარგლებში, რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში აღიჭურვა და განახლდა საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზა, რაც თავისთავად სწავლების მეთოდების ეფექტურობის მაჩვენებლის ზრდას განსაზღვრავს. მისასალმებელია სტუდენტთა ინტეგრირება აღნიშნულ კლინიკურ სივრცეში.

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია, შესაძლებელია მათი შეფასება.

სასწავლო კურსი მიმართულია როგორც თეორიული ცოდნის ათვისებისკენ, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესასწავლად მანეკენებზე და ფანტომებზე. ადრე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა ხორციელდებოდა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობით, ექიმების ასისტირებით და მცირე დოზით, არასავალდებულო მარტივი მანიპულაციების პაციენტებზე ჩატარებით, რაც არ იყო საკმარისი კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად. ახალი პროგრამით, სპეციალობის სასწავლო კურსებს დაემატა სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურები, სადაც უკვე კონკრეტულადაა გაწერილი რომელ სასწავლო კურსში სტუდენტმა რა მანიპულაციები უნდა ჩაატაროს ფანტომზე და რა პაციენტზე, ზედამხედველობის ქვეშ და თითოეულ ამ მანიპულაციას უკვე მინიჭებული აქვს ქულა. აღნიშნულით, განსახორციელებელი მანიპულაციები გახდა სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, სტუდენტები აღარ არიან პასიური დამკვირვებლების როლში და აქტიურად არიან ჩართული სასწავლო-კლინიკურ პროცესში.

სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად და გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის შემუშავებული.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი მოძველებულია, რაც ზოგადად ქართულ ენაზე სპეციალური ლიტერატურის სიმწირითაა გამოწვეული და ამაზე დაწესებულებაც წუხს. თანამედროვე ლიტერატურის დანაკლისს სილაბუსის და კურსის ავტორები პრეზენტაციების და რიდერების ჩანაცვლებით ახორციელებენ. რიდერები და თანამედროვე დამხმარე ლიტერატურა (ბეჭდური და ელექტრონული ფორმით) ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს.

ზოგიერთი სპეციალობის სილაბუსში გაპარულია ტექნიკური შეცდომები, არასწორი ქულების ნიშნულები, შეფასების კრიტერიუმები საჭიროებს დეტალიზებას და სხვა.

სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსების თანდართულ სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურებშიც ასევე გაპარულია შეცდომები, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები ახალი შედგენილია, ჯერ პრაქტიკაში არ არის გამოყენებული და სავარაუდოდ ერთი სემესტრის გავლის შემდეგ თვითონ ავტორები შეაფასებენ შინაარს და შესასრულებელი მანიპულაციების შესრულების ადეკვატურობას და მოახდენენ დოკუმენტის მოდიფიცირებას.

სტომატოლოგიის პროგრამის სტრუქტურა და მისი განხორციელების გზები, მათ შორის, სწავლა-სწავლების მეთოდები ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მათ შორის სტუდენტისთვის როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებას.

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ლექციები, სემინარები, ელექტრონული სწავლება, გუნდური მუშაობა, როლური თამაშები, პრეზენტაციები, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, "პორტფოლიოზე" დაფუძნებული სწავლება (ინერგება), პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, სიმულატორებზე და ფანტომებზე სწავლება, პაციენტებზე მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარება, ექიმების ყურება და ასისტირება, პაციენტის საწოლთან სწავლება, კლინიკური უნარების ტრეინინგი.

პროგრამაში მოცემულია სტუდენტის შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტების შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან. სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS).

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი.

უნივერსტეტში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ზეპირი გამოცდა, წერითი, MCQ-კითხვები, ქვიზი/კომბინირებული ტესტი, პრეზენტაცია, სიმულატორებზე, ფანტომებზე, ანაბეჭდებზე, ექსტრაგირებულ კბილებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება, ასევე პაციენტებზე მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ ჩატარებული მანიპულაციების შეფასება (ინერგება) (რისთვისაც ასევე შემუშავებულია სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურები), კლინიკური ქეისები, პორტფოლიო (ინერგება).

ზოგიერთ სასწავლო კურსში პრაქტიკული უნარების შესაფასებლად იგეგმება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რაც ასევე გაწერილია სილაბუსებშიც. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ გამოცდის ეს ფორმა წესით წელს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა ეპიდსიტუაციიდან და სწავლების ონლაინ-რეჟიმზე გადასვლის გამო, ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებელი.

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, პერსონალის კვლევის ხელშეწყობისთვის ახორციელებს ტრეინინგებს, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მუდმივ განალებას, აწყობს სამეცნიერო კონფერენციებს, საერთაშორისო კონფერენციებზე პერსონალის მივლინებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინგლისურენოვანი ჟურნალი - Translational and Clinical Medicine - Georgian Medical Journal" (გათვალისწინებულია Google Scholar - ში).

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტის პროგრამები ფინანსდება არა მხოლოდ თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, არამედ თსუ ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე, მოპოვებული საერთაშორისო და ლოკალური (ეროვნული) გრანტებიდან. პროგრამაში ფინანსურ რესურსების განაწილების, ასევე, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის თანაფარდობის ანალიზით დასტურდება პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. სისტემატიურად ტარდება როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის შეფასება. მიღებული შედეგები გამოიყენება არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად, მუშავდება სტრატეგია მათ აღმოსაფხვრელად, საუკეთესო შედეგების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტში, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება გაცვლითი პროექტები და საერთაშორისო მობილობის პროგრამები, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის. სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს ამის შესაძლებლობა ამჟამად არ აქვთ, თუმცა კურსდამთავრებულების გამოკითხვით და ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდით დასტურდება წინა წლებში აღნიშნული სერვისებით სარგებლობის

შესაძლებლობა. დაწესებულებამ ინტერვიუს დროს დაგვიდასტურა, რომ აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, პროცესი შეჩერებულია.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები. სემესტრული და გამოცდის შეფასების ჯამური ქულა იყოს ქულობრივად დაკონკრეტებული, გაიწეროს რომელი კრიტერიუმების შეფასებით ხდება საბოლოო ქულის მიღება.
  - გასწორდეს სტუდენტთა აქტივობის დღიურებში გაპარული შეცდომები და უზუსტობები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - გაიზარდოს სტუდენთა ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და საერთაშორისო კონფერენციებში, ადგილობრივი და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში. სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებს გაეზარდოთ საერთაშორისო მობილობით სარგებლობის შესაძლებლობა;
  - სასურველია უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში პაციენტებისთვის სტუდენტებთან მკურნალობა იყოს შეძლებისდაგვარად იაფი და შეღავათიანი;
  - სასურველია, თუ ფინალური გამოცდის გამსვლელი ქულა გაიზრდება და იქნება 50%-ზე მაღალი;
  - სასურველია სპეციალობის სასწავლო კურსების გამოცდის ფორმა გახდეს კომბინირებული, თეორიულ ცოდნასთან ერთად განხორციელდეს სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებაც;
  - თერაპიული სტომატოლოგია 1 და 2-ის გამოცდის ფორმად მითითებული OSCE, შეიცვალოს OSPE-ით - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდით.
  - აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა მოიცავდეს სტუდენტთა საკონსულტაციო საათებისთვის გამოყოფილ დროს;
  - გაიზარდოს სტუდენტთა და დამსაქმებელთა შორის ეფექტური კომუნიკაცია.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა და საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები: სილაბუსებში აისახა

სწავლების სემესტრები; ყველა სემესტრული საგნისთვის შეიქმნა დამოუკიდებელი სილაბუსი; გასწორდა სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზნების შინაარსი; რეკომენდებულ ლიტერატურას დაემატა ასევე ქართულენოვანი სახელმძღვანელოები; სილაბუსებში გასწორდა ტექნიკური ხარვეზები;

ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების გარდა, გატარდა ასევე სხვა ცვლილებებიც, რომლებიც უმეტესად უკავშირდება ლიტერატურის, სასწავლო კურსის სილაბუსების, კურიკულუმის შინაარსის ცვლილებებს. გაერთიანდა რამოდენიმე სასწავლო კურსი, შეიცვალა ზოგიერთი კურსის კრედიტების რაოდენობა, ცვლილებები შევიდა გარკვეული საგნების სახელწოდებებში. გაუქმდა და დაემატა ზოგიერთი სასწავლო კურსი. შეიცვალა გამოცდაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო სწავლების ახალი მეთოდები, მნიშვნელოვნად შეიცვალა სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის შეფასება როგორც სწავლის პერიოდში, ასევე გამოცდაზე. ინერგება OSCE, სტუდენტთა პორტფოლიო, სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურები.

გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სექტემბრიდან ექსპლუატაციაში შევა საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის ძირითადი მიზანია სტუდენტს გადასცეს შესაბამისი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, რომელიც საჭიროა კვალიფიციური კადრის მოსამზადებლად შრომით ბაზარზე. პროგრამის ფარგლებში მოხდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება თანამედროვე შრომის ბაზრისთვის, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობის გაუმჯობესებაში და ჯანდაცვის სისტემის სრულყოფაში. თსუ მედიცინის ფაკულტეტის მისია თანხვედრაშია თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მისიასთან: საუნივერსიტეტო ჰუმანური იდეის საფუძველზე და ოპტიმალური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის გზით, აღზარდოს საერთაშორისოს სტანდარტების შესაბამისად განვითარებული სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლებისა და უნარების მქონე დარგის სპეციალისტები და მკვლევარები, რომელთა მოღვაწეობაც მიმართულია, ერთი მხრივ, ეროვნული ჯანდაცვის სისტემის სრულყოფისა და ჯანმრთელი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებებისაკენ, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის კეთილდღეობის და საზოგადოების ეკონომიკური, ჰუმანური და სამეცნიერო განვითარებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო სამედიცინო სამეცნიერო აზრის განვითარებისაკენ. პროგრამის მიზნების უმთავრესი ნაწილი მიმართული უნდა იყოს პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო ცოდნის მიწოდების და უნარების გამომუშავებისკენ, რაც გულისხმობს პროფესიონალი სტომატოლოგის მომზადებას. ამ მხრივ ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკული კომპონენტების და უნარების გასაუმჯობესაბლად აღნიშნულ პროგრამაში შეტანილია ცვლილებები. ეს ცვლილებები პირველ რიგში საჭიროებს განხორციელებას, რათა უნივერსიტეტის მისიასთან და პროგრამის მიზნებთან იყოს თანხვედრაში. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ მათ გათავისებული და გაზიარებული აქვთ პროგრამის მიზნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშზე, საგანმანათლებლო პროგრამასა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ დარგობრივ ცოდნას, სტომატოლოგიის სფეროში მუშაობისთვის აუცილებელ უნარებს, ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგების აღზრდა, კურსდამთავრებულებისთვის პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა და კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება მოხდა კურიკულუმის განვითარების კომიტეტის მიერ, არის მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი. მხედველობაში იქნა მიღებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი და დადგინდა თუ რა ცოდნისა და უნარებზეა მოთხოვნა დამსაქმებლების მხრიდან. გათვალისწინებულ იქნა ასევე აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, გარე ექსპერტის რეკომენდაციები.

პროგრამაში ინტეგრირებული საბაზისო და კლინიკური კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულებს სწავლის შემდეგი ეტაპის ადვილად დაძლევაში.

პროგრამას აქვს 17 სწავლის შედეგი, რომელთა განსაზღვრის შემდეგ აიგო კურიკულუმი, მომზადდა კურიკულუმის რუკა, რომელშიც ასახულია რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა და კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში სწავლის შედეგები.

სწავლის შედეგები ნათელი, ლაკონური და გაზომვადია, თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდა სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. შედეგებში გაწერილია როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკულ-კლინიკური კომპეტენციების ჩამონათვალი.

პროგრამის შემადგენელი თითოეული კომპონენტის შინაარსი და მოცულობა და მისი ყველა კომპონენტის ერთობლიობა პროგრამის სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოფს კომპონენტით დასახული მიზნის მიღწევას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებას.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგების მონიტორინგი პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.

პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის განვითარების კომიტეტი, კერძოდ მასში შემავალი პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი, დეკანის მოადგილე, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ყოველი სემესტრის ბოლოს ივსება სპეციალური კითხვარები, ანალიზდება განვლილი კურსის და მთლიანად პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და იგეგმება მომდევნო სემესტრში განსახორციელებელი აქტივობები. პროცესს მონიტორინგს უწევს პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	*			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; ვებ გვერდზე და უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაში გაწერილია დაშვების წინაპირობები, შეფასების კრიტერიუმები, სამიზნე ნიშნულები და ა.შ. აღნიშნულს ადასტურებს ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სტომატოლოგიის პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ინიცირება მოხდა მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დეპარტამენტში პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ვლადიმერ მარგველაშვილის მიერ. პროგრამის განვითარებისა და შემუშავებისათვის გამოყენებულია შრომის ბაზრის კვლევა, დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების გამოკითხვა. პროგრამის შინაარსი ეყრდნობა შემდეგ მონაცემებს: ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს; შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს; სტუდენტების გამოკითხვას; დარგში თანამედროვე მიღწევებსა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ. პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი რომელი სავალდებულო კურსი სწავლის რომელ შედეგზე გადის. პროგრამაზე სწავლა 10 სემესტრი და 300 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება, მათ შორის ელექტიური საგნების მოცულობა 11 კრედიტია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შედგენილია უსდ-საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემის, საქართველოს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამას უცხოელი ექსპერტების რჩევით დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: “შესავალი სტომატოლოგიაში”, “სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა”, “გერიატრიული სტომატოლოგია”, “შშმ პირების სტომატოლოგიური მკურნალობა”. როგორც პროგრამაშია მოცემული, კურსები ითვალისწინებს ფუნდამენტური (თეორიული, საბაზისო) და პრაქტიკული (კლინიკური) სასწავლო კურსების ინტეგრაციას. შესაბამისად, მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა უნდა განსაზღვრავდეს პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას, ამასთან ერთად

პროგრამის სწავლების მეთოდების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს საფანტომო კურსებს არსებულ საუნივერსიტეტო ბაზაზე, ხოლო კლინიკური როტაციის პირობებში - სტუდენტების ასისტირების შესაძლებლობებს და პაციენტებზე მარტივი სტომატოლოგიური მანიპულაციების შესრულებას. სწავლების პროცესების ორგანიზება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის შეძენას, ასევე გარკვეული კომპეტენციის და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტის მანუალური-პრაქტიკული უნარჩვევების ჩამოყალიბების მიზნით პაციენტთან ინდივიდუალური მუშაობა (პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ), რაც გაირკვა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს ფარგლებშიც. სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა და აქტივობა განისაზღვრება ჯგუფებში მუშაობის, დისკუსია/დებატების, შემთხვევების ანალიზის, პრეზენტაციის და დემონსტრირების მეთოდების გზით. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, კოგნიტური აზროვნების და ანალიზის უნარის განვითარებას. თითოეული სასწავლო კურსისთვის არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა წინა კურსის/კურსების საგნების გავლას. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის, აღნიშნული მითითებულია კურსების სილაბუსებში, რომელსაც სტუდენტი ეცნობა პირველივე ლექციაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების შინაარსი მოცემულია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც, საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი, ლექტორი, სასწავლო კურსის სტატუსი, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, სემესტრი, დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლება/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და სხვა დამატებითი ინფორმაცია. ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია, შესაძლებელია შეფასება. სასწავლო კურსი მიმართულია როგორც თეორიული ცოდნის ათვისებისკენ, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესასწავლად მანეკენებზე და ფანტომებზე. ადრე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა ხორციელდებოდა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობით, ექიმების ასისტირებით და მცირე დოზით, არასავალდებულო მარტივი მანიპულაციების პაციენტებზე ჩატარებით, რაც არ იყო საკმარისი კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად. ახალი პროგრამით, სპეციალობის სასწავლო კურსებს დაემატა სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურები, სადაც უკვე კონკრეტულადაა გაწერილი რომელ სასწავლო კურსში სტუდენტმა რა მანიპულაციები უნდა ჩაატაროს ფანტომზე და რა პაციენტზე, ზედამხედველობის ქვეშ და თითოეულ ამ მანიპულაციას უკვე მინიჭებული აქვს ქულა. აღნიშნულით, განსახორციელებელი მანიპულაციები გახდა სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, სტუდენტები აღარ არიან პასიური დამკვირვებლების როლში და აქტიურად არიან ჩართული სასწავლო-კლინიკურ პროცესში. სტომატოლოგიის პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად და გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის შემუშავებული. თოთოეული სასწავლო კურსი შექმნილია საჭირო საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და წარმოდგენილია ასტრონომიული საათების პროპორციულად ECTS კრედიტებში. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურის ნაწილი მოძველებულია, რაც ზოგადად ქართულ ენაზე სპეციალური ლიტერატურის სიმწირითაა გამოწვეული და ამაზე დაწესებულებაც წუხს. თანამედროვე ლიტერატურის დანაკლისს სილაბუსის და კურსის ავტორები პრეზენტაციების და რიდერების ჩანაცვლებით ახორციელებენ. რიდერები და დამატებითი თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა (ბეჭდური და ელექტრონული ფორმით) ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს. ზოგიერთი სპეციალობის სილაბუსში გვაქვს შენიშვნები: ზოგიერთ სილაბუსში (მაგალითად, კვლევის უნარები 1, იმუნოლოგიის საფუძვლები, ორგანიზმის შენების და ფუნქციონირების ზოგადი ასპექტები, პათოლოგია, თერაპიული სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია) გაპარულია ტექნიკური ხარვეზები, არასწორი ქულების ნიშნულები, ზოგან აბზაცები მეორდება, ზოგან გამორჩენილია გამოცდაზე დაშვების წინაპირობა, არ არის მითითებული ფინალური გამოცდის მინიმალური ზღვარი. ზოგიერთ სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები არ არის დეტალიზებული, მითითებულია შეფასების კონკრეტული სუმაციური ქულა და არ არის დაკონკრეტებული ამ ქულას სტუდენტი რა კრიტერიუმებით აგროვებს. კლინიკური უნარების და კომუნიკაციის სილაბუსში არ ჩანს მულაჟზე ტრენინგის დროს რა მანიპულაციებს აკეთებენ სტუდენტები. სპეციალობის სასწავლო კურსის სილაბუსების თანდართულ სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურებშიც ასევე გაპარულია შეცდომები, შეცდომებია ქულების გადანაწილებაში, არ ჩანს გარკვეული მანიპულაციები ფანტომზე ტარდება თუ პაციენტზე, ზოგიერთი შეფასება გამეორებულია და სხვა. თუმცა აღნიშნული დოკუმენტები ახალი შედგენილია, ჯერ პრაქტიკაში არ არის გამოყენებული და სავარაუდოდ ერთი სემესტრის გავლის შემდეგ თვითონ ავტორები შეაფასებენ შინაარსს და შესასრულებელი მანიპულაციების შესრულების ადეკვატურობას და მოახდენენ დოკუმენტის მოდიფიცირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ○ სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ელექტრონული პორტალი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები. სემესტრული და გამოცდის შეფასების სუმაციური ქულა იყოს ქულობრივად დაკონკრეტებული, გაიწეროს რომელი კრიტერიუმების შეფასებით ხდება საბოლოო ქულის მიღება.

• გასწორდეს სტუდენტთა აქტივობის დღიურებში გაპარული შეცდომები და უზუსტობები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის პროგრამის ახალი სასწავლო პროგრამის მიხედვით თითოეულ საგანში შემუშავებულია სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურები. მათში დეტალურად გაიწერა იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ნიშნულები, რომელსაც უნდა მიაღწიოს სტუდენტმა ამა თუ იმ საგნის დასრულების შემდეგ. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; განახლებული სასწავლო პროგრამა უახლოეს მომავალში გადავა იმპლემენტაციის ფაზაზე. მოცემულ მომენტამდე არსებული პრაქტიკული უნარების შესრულება და შეფასების კრიტერიუმები იყო ბუნდოვანი სპეციალობის თითქმის ყველა სასწავლო კურსზე. ინტერვიუს დროს ცხადი გახდა რომ პაციენტის მიღება როგორც პრაქტიკული უნარების დემონსტრირების მეთოდი არ იყო სავალდებულო. სტუდენტი ფასდებოდა დასწრების, ასისტირების, ექიმზე დაკვირვების საფუძველზე. ქირურგიულ სტომატოლოგიაში პრაქტიკული და დამკვირვებლური უნარების განვითარება იყო არაერთგვაროვანი. სტუდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ შეხება ჰქონდა სრულფასოვან კლინიკურ ბაზასთან სადაც შეეძლო როგორც ობზერვერის (საწყისი კურსების განმავლობაში), ასევე ასისტენტის სტატუსით კლინიკაში ყოფნა - ქირურგის ასისტირება - მსუბუქი ოპერაციების დროს. სტუდენტთა მეორე ნაწილი გამოყოფს პაციენტთან ურთიერთობის სიმცირეს. განახლებულ პროგრამაზე ვიმედოვნებთ ეს დეფიციტი აღარ გამეორდება, რადგან პრაქტიკულ სასწავლო კურსებზე პაციენტებთან ჩასატარებელი მანიპულაციები ყველა სტუდენტისთვის უკვე წინასწარ გაწერილია. ინტერვიუს თანახმად, განახლებულ პროგრამაში პრაქტიკული მხარე მოიცავს: ანამნეზის შეკრებას, დაკვირვებას, თაბაშირისგან დამზადებული სამუშაო მოდელების განხილვას, ანაბეჭდის აღებას, ფანტომ-მულაჟებზე მუშაობას. ხოლო მაღალ კურსებზე - ლექტორთა მეთვალყურეობის ქვეშ პაციენტებზე სხვადასხვა სტომატოლოგიური მანიპულაციების

ჩატარებას, როგორიცაა: პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენის ჩატარება, მარტივი და რთული კარიესის მკურნალობა, კბილების ექსტრაქცია, ნაკერის დადება და სხვა.

მოცემული მომენტისთვის უნივერსიტეტში მიმდინარეობს კვლევა რეზექციის შემდგომი ორთოპედიული მკურნალობის შესახებ, მასში ჩართულია სტომატოლოგიის პროგრამის 3 სტუდენტი.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც ნათლად ასახავს სტუდენტთა აქტივობას ადგილობრივ კონფერენციებსა თუ გამოფენებში: (საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაციის მეოთხე კონგრესი 2016; საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის მეთოთხმეტე საერთაშორისო კონგრესი 2018, დენტალ თბილოსობა 2018 „ კბილების ცვეთა - ორი მილიონი წელი ევოლუცია „ - ციურიხი შვეიცარია 2020, „ ორთოპედიული ვინირები „ონლაინ კურსი აშშ, ბოსტონი) .

სტუდენტთა ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობას ადასტურებს როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასევე ინტერვიუზე გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა. მეორე მხრივ, საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობის შესაძლებლობა მოცემულ ეტაპამდე კვლავ განსავითარებელ მხარედ გამოიკვეთა.

ინტერვიუს თანახმად, ასევე ინდენტიფიცირდა სტუდენტთა ნაკლები დაინტერესება სამეცნიერო კვლევითი საქმიანობით.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ბევრ სტომატოლოგიურ კლინიკასთან, რომელთა კლინიკური ბაზა ითვალისწინებს კურაციული სწავლების პერიოდში კლინიკაში სტუდენტთა განთავსებას, ასევე პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელ აღჭურვილობასა და დანადგარებს. შესაბამისად დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

სექტემბრიდან უნივერსიტეტს ექნება საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, რაც ასევე ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს არ მიუღიათ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რაც ასევე ხელს შეუწყობდა მათი პრაქტიკული კომპონენტის განვითარებას. მედიცინის პროგრამის სტუდენტები ამ სერვისით სარგებლობენ. დაწესებულებაში გამოთქვეს მზაობა, სტომატოლოოგიის პროგრამაზეც სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში ჩართვის თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტური კონფერენციები, გამოფენები, და ა.შ.
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და საერთაშორისო კონფერენციებში, ადგილობრივი და საერთაშორისო გაცვლით პროექტებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის პროგრამის სტრუქტურა და მისი განხორციელების გზები, მათ შორის, სწავლა-სწავლების მეთოდები ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, მათ შორის სტუდენტისთვის როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებას. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ლექციები, სემინარები, ელექტრონული სწავლება, გუნდური მუშაობა, როლური თამაშები, პრეზენტაციები, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, "პორტფოლიოზე" დაფუძნებული სწავლება (ინერგება), პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, სიმულატორებზე და ფანტომებზე სწავლება, პაციენტებზე მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარება, ექიმების ყურება და ასისტირება, პაციენტის საწოლთან სწავლება, კლინიკური უნარების ტრეინინგი. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებას და მიღწევადობის საფუძველს. სტუდენტთა ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, ანალიზის უნარის განვითარებას და კვლევის უნარის ჩამოყალიბებას, ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს ზემოჩამოთვლილი სწავლების მეთოდები, პაციენტებზე მარტივი მანიპულაციების ჩატარება, თუმცა ნაწილმა ვერ გაიხსენა კონკრეტულად რომელი კლასის კარიესული კბილები დაბჟინეს, გამოიყენეს თუ არა

რაბერდამის სისტემა, საერთოდ არ ჩაუტარებიათ ენდოდონტიური მკურნალობა, ანესთეზია. აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ ახალ პროგრამაში სტუდენტისთვის პაციენტის მიღება გახდა სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილია კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკული აქტივობის დღიურში პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული ექნება კონკრეტული, წინასწარგანსაზღვრული ქულა. პროგრამა გაძლიერდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლის თვალსაზრისით. გაიზარდა სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ. ეს სიახლე უნივერსიტეტისთვის მიღწევადია, რადგან სექტემბერში იხსნება საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა, უნივერსიტეტს ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პაციენტების მკურნალობა სტუდენტებთან არის შეღავათიანი (უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ ბაზებზე სტუდენტებთან მკურნალობა ძირითადი ღირებულების 30%-ია). საუნივერსიტეტო კლინიკის მომსახურეობის მომავალი ნიხრი ჯერ ჩვენთვის უცნობია, სასურველი იქნება თუ საუნივერსიტეტო კლინიკაში სტუდენტებთან მკურნალობა იქნება პაციენტისთვის შეძლებისდაგვარად შეღავათიანი, კლინიკაში პაციენტების მოსაზიდად და მოტივაციისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სილაბუსები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში სტუდენტებთან მკურნალობა პაციენტებისთვის იყოს რაც შეიძლება შეღავათიანი, კლინიკაში პაციენტების მოსაზიდად და მოტივაციისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში მოცემულია სტუდენტის შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტების შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან. სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS). ფაკულტეტზე მოქმედებს შეფასების კომიტეტი, რომლის ფუნქციაა შეფასების სისტემის დახვეწა, რეგულაციების დაწესება და ამოქმედება, რაც მიზნად ისახავს შეფასების პროცესის უკეთ ორგანიზებას, ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. უნივერსტეტში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ზეპირი გამოცდა, წერითი, MCQ-კითხვები, ქვიზი/კომბინირებული ტესტი, პრეზენტაცია, სიმულატორებზე, ფანტომებზე, ანაბეჭდებზე, ექსტრაგირებულ კბილებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება, ასევე პაციენტებზე მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ ჩატარებული მანიპულაციების შეფასება (ინერგება) (რისთვისაც ასევე შემუშავებულია სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურები), კლინიკური ქეისები, პორტფოლიო (ინერგება). ზოგიერთ სასწავლო კურსში პრაქტიკული უნარების შესაფასებლად იგეგმება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რაც ასევე გაწერილია სილაბუსებშიც. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ გამოცდის ეს ფორმა წესით წელს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა ეპიდსიტუაციიდან და სწავლების ონლაინ-რეჟიმზე გადასვლის გამო, ვერ მოხერხდა. თერაპიული სტომატოლოგია 1 და 2-ის გამოცდის ფორმად მითითებულია OSCE, რაც უმჯობესია შეიცვალოს OSPE-ით - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდით. სწავლის ამ ეტაპზე კლინიკური უნარების შეფასება ჯერ ნაადრევია, ჯერ ხომ საფანტომო კურსებზეა საუბარი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, გარდა ამისა, ხდება მიღებული შეფასების შედეგების ანალიზი და მათი სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენება. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ მიიღონ კურსის დაწყებისთანავე, კურსის განმახორციელებლის მიერ მათთვის პირველივე მეცადინეობაზე სილაბუსის გაცნობის გზით, ასევე ელექტრონული პორტალიდან. ფინალურ გამოცდაზე გამსვლელი ქულა არის 20, ანუ 50%, ანუ სტუდენტმა იცის მასალის ნახევარი. სასურველია, თუ ეს მაჩვენებელი გაიზრდება. ამ ნაწილში შემოვიფარგლებით მხოლოდ რჩევით, რადგან არც კანონით და არც რაიმე რეგულაციით ამ ნიშნულის გაზრდა სავალდებულო არაა.

სპეციალობის ზოგიერთი სასწავლო კურსის (ორთოპედიული სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია) ყველა სემესტრში სტუდენტის შეფასება ხორციელდება მხოლოდ წერითი ფორმით, საკითხებით. სასურველია ამ კურსის შეფასების ფორმა გახდეს უფრო მრავალფეროვანი, კომბინირებული, ჩატარდეს პრაქტიკული კომპონენტის შეფასებაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, თუ ფინალური გამოცდის გამსვლელი ქულა გაიზრდება და იქნება 50%-ზე მაღალი; • სასურველია სპეციალობის სასწავლო კურსების გამოცდის ფორმა გახდეს კომბინირებული, თეორიულ ცოდნასთან ერთად განხორციელდეს სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებაც; • თერაპიული სტომატოლოგია 1 და 2-ის გამოცდის ფორმად მითითებული OSCE, შეიცვალოს OSPE-ით - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	*			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ; ინტერვიუს თანახმად სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას საკონსულტაციო მომსახურების შესახებ. ლექტორებს მიმართავენ საგამოცდო პერიოდში როგორც სატელეფონო, ელექტრონული, ასევე, პირისპირ გასაუბრების ფორმით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა არ მოიცავს საკონსულტაციო მომსახურეობისთვის გამოყოფილ საათებს, მიუხედავად ამისა, სტუდენტები კომუნიკაციისა და კონსულტაციის დანაკლისს არ აიდენტიფიცირებენ და ხაზს უსვამენ ლექტორთა მუდმივ მზაობას. სტუდენტები ინფორმირებული არიან სხვადასხვა ადგილობრივი პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. ინფორმაციის წყაროდ ასახელებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდს, პირად შეტყობინებას ადმინისტრაციისგან. უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტი სტუდენტთა აქტივობის შესახებ, მონაცემები მოიცავს 2016 წლიდან დღემდე ჩატარებულ კონფერენციებს და ონლაინ სემინარებს (საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაციის მეოთხე კონგრესი 2016; საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის მეთოთხმეტე საერთაშორისო კონგრესი 2018, დენტალ თბილისობა 2018, "კბილების ცვეთა - ორი მილიონი წელი ევოლუცია" - ონლაინ კურსი, ციურიხი, შვეიცარია 2020, "ორთოპედიული ვინირები" ონლაინ კურსი, აშშ, ბოსტონი და ა. შ.) ვიზიტის ფარგლებში ცხადი გახდა, რომ სტუდენტებს ნაკლებად აქვთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებში მონაწილეობისა და აგრეთვე საერთაშორისო მობილობით სარგებლობის შესაძლებლობა; იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ატარებს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებითა და მობილობის შესაძლებლობით ქვეყნის მასშტაბით მოწინავე უნივერსიტეტის სტატუსს და მედიცინის პროგრამის სტუდენტები ამ სერვისით უკვე აქტიურად სარგებლობენ, რეალურია ვარაუდი, რომ უახლოეს მომავალში

საერთაშორისო მობილობით სარგებლობა სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებისთვისაც გახდება ხელმისაწვდომი. აღნიშნულს გასაუმჯობესებელ მხარედ აიდენტიფიცირებს პროგრამის წარმომადგენელი გუნდიც. დამსაქმებლები აქტიურად იღებენ მონაწილეობას საკუთარი სერვისის გაუმჯობესებისა და ახალი პროგრამის შექმნის საკითხებში. მუდმივად ხდება მათი შეხედულების კოორდინირება სამუშაო პროცესში, გამოკითხული სტუდენტები ვერ იხსენებენ დამსაქმებლებთან ცალკე შეხვედრის შემთხვევას, თუმცა აღნიშნავენ, რომ სოციალურ ქსელებში არსებული დახურული ჯგუფების, ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით მუდმივად იღებენ ინფორმაციას შესაძლო ვაკანსიების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი სხვადასხვა პროექტებისა და მათში ჩართული სტუდენტების შესახებ; ○ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები. ○ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და ამ თანამშრომლობის შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სტომატოლოგიის ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებს გაეზარდოთ საერთაშორისო მობილობით სარგებლობის შესაძლებლობა • აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა მოიცავდეს სტუდენტთა საკონსულტაციო საათებისთვის გამოყოფილ დროს • გაიზარდოს სტუდენტთა და დამსაქმებელთა შორის ეფექტური კომუნიკაცია
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	*			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში საგანმანათლებლო სასწავლო პროცესს უძღვება აკადემიური პერსონალი და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით მოწვეული ლექტორები. აკადემიურ თანამდებობებზე რექტორის ბრძანებით დანიშნულნი არიან კონკურსის წესით შერჩეული, სათანადო სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან თსუ-ს აკადემიური პერსონალი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი, უცხოელი პედაგოგები, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერი და მოწვეული, მაღალი კომპეტენციის მქონე პედაგოგები . კონკრეტულად:

აკადემიური პერსონალი /პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი/ - 90, 47 მოწვეული პერსონალი. ჯამში - 137.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი არის 90/47, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მოწვეულ პედაგოგთა ნაწილი უკვე წლებია თანამშრომლობს თსუ-სთან. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და გამოცდილება დასტურდება CV-ებითა და დიპლომებით.

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში;

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც ჩართულნი არიან მათი ლექტორები;

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ამასთანავე სამეცნიერო კვლევითი კონკრეტული აქტივობების დაფინანსების საკითხების გადაწყვეტას აწარმოებს შესაბამისი ბიუჯეტის ფარგლებში;

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სტუდენტთა გამოკითხვის ფორმებს; სტუდენტთა სისტემატური გამოკითხვის ორგანიზებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები; გამოკითხვა მიმდინარეობს ანონიმურად; სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი და ხორციელდება რეკომენდაციების წარდგენა პროგრამების შემდგომი მოდიფიცირებისა და განვითარების მიზნით.

პროგრამას უშუალოდ ემსახურება ადმინისტრაციული პერსონალი, ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, კომპეტენცია და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- პერსონალის პირადი საქმეები: მათთან გამოფრმებული ხელშეკრულებები
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;

○ უნივერსიტეტის წესდება; უნივერსიტეტის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. წარმოდგენილია პერსონალის გამოკითხვების შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნული დასტურდება უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგებით. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას; შეფასების შედეგების მიღება ხდება აკადემიური პერსონალის მიერ წელიწადში ორჯერ, ელექტრონული მეილის საშუალებით. პერსონალის მოთხოვნის და დიდი დაინტერესების საფუძველზე უნივერსიტეტმა განახორციელა ინგლისური ენის გადამზადების კურსები სტომატოლოგიის პროგრამის პერსონალისთვის. იგეგმება აღნიშნულ კურსებზე მეტი პერსონალის ჩართვა. უნივერსიტეტი პერსონალის კვლევის ხელშეწყობისთვის ახორციელებს ტრეინინგებს, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მუდმივ განახლებას, აწყობს სამეცნიერო კონფერენციებს, საერთაშორისო კონფერენციებზე პერსონალის მივლინებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინგლისურენოვანი ჟურნალი - Translational and Clinical Medicine - Georgian Medical Journal" (გათვალისწინებულია Google Scholar - ში). უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა). უნივერსიტეტის ბიუჯეტში

გამოყოფილია თანხა (მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებსა და ბიბლიოთეკის ფონდის განვითარებაზე გათვალისწინებული დაფინანსება); ინტერვიუს დროს ცხადი გახდა, რომ პერსონალი კმაყოფილებას გამოთქვამს საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების, ლექტორების მიერ ჩატარებული მასტერკლასების და სემინარების შესახებ. აღინიშნა, რომ ისინი რეგულარულად იღებენ ინფორმაციას შესაძლო კონფერენციების და პრაქტიკული მასტერკლასების შესახებ ელექტრონული მეილის საშუალებით. პერსონალის ნაწილი, საერთაშორისო კვლევით საქმიანობასა და კონფერენციებში მონაწილეობის, ასევე, პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართვის სურვილის მიუხედავად, ვერ იყენებს შესაძლებლობას დროის უქონლობის ან ენის არცოდნის გამო, ნაწილი კი ადასტურებს აღნიშნულ პროექტებში მათ ჩართულობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში; ○ სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბერის #122 დადგენილება; (დანართი12) ○ მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებსა და ბიბლიოთეკის ფონდის განვითარებაზე გათვალისწინებული დაფინანსება;(დანართი14) ○ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/research/balances/; ○ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის 29/2017 დადგენილება; (დანართი12) ○ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის N30/2017 დადგენილება. (დანართი12)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; მედიცინის ფაკულტეტის დეკანი და სტომატოლოგიის პროგრამის ხელმღვანელი მუდმივად არიან ჩართული საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების პროცესში, რაც უახლესი, სტომატოლოგიური სახელმძღვანელოების შეძენასა და სტუდენტებისთვის თავისუფალ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. თითოეული სტუდენტი ინფორმირებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შესახებ, ასევე ბიბლიოთეკის სივრცეში არსებობს ბროშურები რესურსით სწორად სარგებლობის შესახებ .

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;

სტომატოლოგიური კლინიკის ბაზები ითვალისწინებს კურაციული სწავლების დროს მისულ სტუდენტთა რაოდენობას (7-8 სტუდენტი ჯგუფში) და აქვთ რესურსი მათი სრულფასოვანი განთავსებისა და პრაქტიკული საქმიანობისთვის.

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში, რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში აღიჭურვა და განახლდა საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზა, რაც თავისთავად სწავლების მეთოდების ეფექტურობის მაჩვენებლის ზრდას განსაზღვრავს. მისასალმებელია სტუდენტთა ინტეგრირება აღნიშნულ კლინიკურ სივრცეში. სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც სრულფასოვნად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, ასევე, არსებობს ფანტომ-მულაჟები სტუდენტთა მუშაობისთვის. გარდა ამისა გამოყოფილია ბორმანქანები, რომლებზეც სამომავლოდ სტუდენტები შეძლებენ ლექტორის მეთვალყურეობის ქვეშ მიიღონ პაციენტები და დაეუფლონ იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც გაწერილია ახლად შექმნილ დღიურებში საგნების მიხედვით.

ვიზიტის დროს ერთ-ერთი კლინიკური ბაზის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ კლინიკა სრულფასოვნად აღჭურვილია და აქვს რესურსი წარმატებით განახორციელოს კურაციული სწავლება საკუთარ ბაზაზე. პრაქტიკული სამუშაოების წარმართვისთვის გამოყოფილია ცალკე ბორმანქანები, სივრცე და გათვლილია მათზე სამუშაოდ განკუთვნილი საათები. კლინიკაში ასევე არსებობს საკონფერენციო სივრცე, სადაც ხდება საგნის თეორიული ასპექტების განხილვა. კლინიკაში ასევე არის საშუალება მულაჟებზე მუშაობის.

მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; ○ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; ○ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ მატერიალურ - ტექნიკურ ბაზაზე ვიზიტი ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ მედიცინის ფაკულტეტის პროგრამები ფინანსდება არა მხოლოდ თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, არამედ თსუ ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე, მოპოვებული საერთაშორისო და ლოკალური (ეროვნული) გრანტებიდან. ფაკულტეტის ბიუჯეტი 2015 წლიდან 2019 წლამდე გაიზარდა 2574240-დან 3284320-მდე, ანუ 710080 ლარით. ეს გაზრდა შეეხო სამეცნიერო მივლინების ხარჯებს, აკადემიური პერსონალის სახელფასო ფონდს. წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში პროგრამის შემოსავლები დაანგარიშებულია, ხარჯებში გათვალისწინებულია ასევე, ლაბორატორიის მოწყობის, მულაჟების, პრეპარატებისა და ბიბლიოთეკისთის ლიტერატურის შეძენისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები. გარდა ამისა, ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის განვითარების, აკადემიური პერსონალის განვითარების, სტუდენტთა (მათ შორის, დოქტორანტთა) კვლევების

(კონკურსის საფუძველზე) დაფინანსებისათვის და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობისთვის და ორგანიზებისთვის. 2019 წელს თსუ-მ მედიცინის ფაკულტეტის პროგრამების მეთოდური უზრუნველყოფისათვის პირველად შეიძინა "on-line" საგანმანათლებლო პლატფორმის "LECTURIO"-ს წევრობა, რამაც საშუალება მისცა როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე დოქტორანტებს, აქტიურად გამოეყენებინათ საერთაშორისო ექსპერტების მიერ მოწოდებული უახლესი ინფორმაცია მედიცინის სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა პრობლემის თაობაზე. პროგრამაში ფინანსურ რესურსების განაწილების, ასევე, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის თანაფარდობის ანალიზით დასტურდება პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	*			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამის წარმატებული განხორციელების და ფუნქციონირების აუცილებელი ელემენტია სასწავლო პროცესისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ფუნქციაა უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების მუდმივი მონიტორინგი და სრულყოფა, აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფა. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატურად მოწმდება და ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, მათ განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამასთან და იმ სასწავლო კურსებთან, რომლებსაც ისინი ახორციელებენ კონკრეტულ პროგრამაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს. შემდგომში იყენებს რა გამოკითხვის შედეგებს, აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამის ფაკულტეტთან ერთად გარკვეულ ეტაპზე და გარკვეული პერიოდულობით აწარმოებს ლექციებზე დასწრებას მეცადინეობების მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით. მონიტორინგის შედეგად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს, გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად და შემდგომი სრულყოფისათვის. აღნიშნული უზრუნველყოფს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და განვითარებას, რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებულია და ითვალისწინებს დარგისა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები. ფაკულტეტზე ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტები და სტომატოლოგიის პროგრამის მოქმედი კომიტეტის საქმიანობაში აკადემიური პერსონალთან ერთად მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ ფაკულტეტის დებულება; ○ აკადემიური პროცესის მართვის სამსახურის დებულება; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი თანამშრომლობს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიზნით განხორციელდა 2011 წელს. ამ აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა და საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები. მას შემდეგ ყოველწლიურად ხორციელდება თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები გაგზავნილ იქნა რენეს უნივერსიტეტში (საფრანგეთი), საიდანაც მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განვითარების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა; ○ გარე შეფასება რენეს უნივერსიტეტიდან (საფრანგეთი).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. მონიტორინგი ხორციელდება გარკვეული ინდიკატორების გამოყენებით, როგორიცაა პროგრამის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა, სტუდენტებსა და პერსონალს შორის თანაფარდობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, შიდა და გარე მობილობა, კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულა, კურსდამთავრებულთა პროგრამის პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი და სხვა. მონიტორინგის პროცესი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ სპეციალურად შედგენილი კითხვარების შევსებით ხორციელდება. გარდა ამისა, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები ჩართულები არიან დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერ კომიტეტში. საჭიროებისამებრ, იმართება შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს მონაცემების დამუშავებასა და შეფასებას, ავლენს პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს მიღებული შედეგების შენარჩუნების ან გაუმჯობესების გეგმებს. აკრედიტაციის მზადების პროცესში შეფასდა და ხარისხის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით გადამუშავდა სასწავლო კურსების სილაბუსები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასაც, სასწავლო

კურსებზე სტუდენტის მიერ მიღწეული სასწავლო კურსის შედეგების შეფასება ხორციელდება სპეციალური ცხრილების გამოყენებით, შეფასების შედეგები ასევე, გამოიყენება შესაბამისი სასწავლო კურსის და მთლიანობაში საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისთვის. ინტერვიუებზე აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, დამსაქმებლებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს მათ მიერ კითხვარების შევსება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ კითხვარები და ჩატარებული გამოკითხვების ანალიზი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სტომატოლოგიის (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	*			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	*			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	*			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	*			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	*			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო კორსანტია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკატერინე ბეშკენაძე

ანა ბაცანკალაშვილი